

მწყამსი

საქართველოს
საგარეო
კავშირების
სამსახური



მე ვარ მწუფისი კეთილი: მწუფისმან კეთილმან სული თვისი დაჰსდღის ცხოვარათვის. (იოან. 10—11).

ვამოც ცხოვარი ჩემი წარწუმედული. ესრეთ იოს სინარული ცათ შინა, ერთსათვის ცოდვილსა. (ლუკ. 15—14).

მოვედით ჩემდა ეოკელნი მაწურაღნი და ტვირთ-მიძიენი და მე განგისუენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 23

1883-1891

15 დეკემბერს.

კ ა ზ ე თ ი ს თ ე ს ი:

«მ წ უ ე მ ს ი»

«მწუფისი რუსული გამოცემით»

12 თვეთი 5 მან. 12 თვეთი 6 მან.

6 — — — — — 8 — — — — — 6 — — — — — 4 — — — — —

თვლისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით:
სს Кавриана, Въ редакцію «Мѣмесѣи» и «Пастырѣ».

საბართველოს წმ. წმ. სოგნილობათა ისტორიიდან.

ეკლესიის მნიშვნელობა, საეკლესიო მამულები და ყმები, მამულების შეწირვა, თანამდებობის მემკვიდრეობა, საეკლესიო კრებანი, საერო კრებანი და მათი შედარება კრებასთან რუსეთში და ევროპაში, მეფენი—ბერნი, მაჰმადიანთაგან ჩვენი ეკლესიის დამოკიდებულება, ეკლესიის გავლენა.

(გატკმელება *)

ბატონები სამხლარ გარეთაც ჰყიდდენ ყმებს, ეკლესია კი იფარადა მათ. 1794 წ. შესდგა კრება, რომელზედაც ეკლესიამ შეაჩენა ტყვეთა გამოსილ-

*) იხ. «მწუფისა»-ს № 21—22.

ყველა სტატუები და კორექსიონ დენციეი, რომელნიც უქმნიბან დასაბუქდავთ გამოგზავნილი ვრცელად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან წელ-მოწერილნი.

სტატუა, რომელიც არ დაიბუქდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს შაისი სარაფით უკანვე დაებრუნოს სტატუები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილიც და თარგმნით დაიბუქდება.

ველნი. ამ კრებაზედ დაესწრო ჰყონდიდელი ბესარიონი, მიტროპოლიტნი გრიგოლი, ანტონი და სს.; კრებამ აუკრძალა ტყვეთა მყიდველთ ქორწინება, ზიარება, დამარხება. ამ შეჩენებამ თავის შედეგი იქონია: დადიანმა პირობა მისცა, რომ ტყვეთა გამოსიდელოთ მიტროპოლიტთა სასამართლოს გადასცემდა. ¹⁾ მაშასადამე ეკლესია იყო მფარველი ტყვეთა და საერთოდ საწყალოა. ერთხელ თავმეფარებული ტყვე, ეკლესიას აღარ გამოეწიებოდა. ²⁾

¹⁾ Церк. гудж. 15, Кавказ. стар. III, 7—9. Путев. записки по Мингрелии Р. Эрнстова. შედ. ქარცხო. II, 71.

²⁾ «გურჯუბი» გვ. 31.



ეკკლესიას მამულები ემატებოდა წლითი წლამდე კეთილმოარწმუნეთა შეწირულობის წყალობით. ეკკლესია ვახდა მეტად მდიდარი და შემძლებელი ბატონი, ძლიერი ფეოდალი, რომლის ძალ-ღონეც, ერთგულება საქირა შეიქნა სახელმწიფოსთვის. ნოტკორის ეკკლესიას სწირავს მე-VII საუკ. მეუღლე არჩილ მეფის წამებულისა (+ 718) სოფლებს. მეფე ბაგრატ მე-III სწირავს სოფლებს ბედიის საყდარს. ამის შეიღმა გიორგი I (1014—1027) რამდენიმე სოფელი შესწირა მცხეთას, სეგეტი-ცხოველს, დავით აღმაშენებელმა შესწირა გელათს მამული ლაზარტით, უმკაჯაღო და ღანყნაღა. თამარ მეფემ მიუღოძა ვარძიის მონასტერს მზარეალნი და დიდროანნი სოფლები. ამანვე შესწირა მონასტრებს პალესტინეს და იერუსალიმს. ¹⁾ სხვა მაგალითებიც ბევრია ქართ. ცხოვრებაში მოყვანილი. ²⁾

მამული, ერთხელ შეწირული, ეკკლესიას აღარ წაერთმეოდა. ზემოთ მოყვყენეთ მაგალითები შესწირვისა მატონედან და თუ «გუჯრებს» მივიღებთ მხედველობაში, მათი რიცხვი გარკვედება. «გუჯრები შესანიშნავნი არიან მით, რომ ივინი გვიხატავენ მიწის მფლობელობის წესს და რიგს, როგორც წინათაც გვითქვამს—უმადლეს მიწის მფლობელად ითვლებოდა მეფე და შემდეგ ბატონ-პატრონი, გუჯრით ანუ სიველით მიცემული ნაბოძები მამული თხოულობდა ამ დოკუმენტის განახლებას ახალ მეფის და ბატონის ხელით. ³⁾ აწ დაბეჭდილნი გუჯარნი ამ კითხვას ჰყენენ იმავე ნათელს. კათოლიკოზი ღიასამიძე იოანე უმტკიცებს «იმავე წესით», როგორც ბატონიშვილს კათოლიკოზს გაერთიებინა მანგლისის ეკკლესიისთვის». ამიტომ ხელმომწერი კათოლიკოზი ანდერძად ავდებდა, რომ შემდეგ იმავე

ხარისხს აღსულთ დაემტკიცებინათ ძველი გუჯარი. ხშირად წყველას უთვლიან, ეინც მოშლის დადგენილს წესს. ამით აიხსნება ერთი იმავე გუჯრის დამტკიცება სხვა და სხვა დროს მცხოვრებელ პირთა მიერ. ნინო წმინდის გუჯრის დამტკიცებაში მონაწილეობას იღებენ წულუკიძე, ქუთათელი დოსითეოსი, გაერთაღლი ეფთიმიძე და სამიგენი თანახმანი არიან მეფის განჩინებისა, სამიგენი წყველას უთვლიან, «ეინც ეს ვასტტოს, წმიდის სამებისაგან შეჩვენებული იყოს სულით და ხორციით». ამგვარივე ხასიათისაა ხონის გუჯარი. ⁴⁾

გუჯრის გახსლება, მეფის უმაღლესი მამულის ყურისგდება შეადგენენ ფეოდალიზმის თვისებას. ერთი ეხაზე საეკკლესიო დაწესებულებათა უახლოვებს მათ ფეოდალურს წესწყობილებას. მე ვამბობ თანამდებობის მემკვიდრეობაზედ. რამდენად მტკიცე იყო ეს ჩვეულება საქართველოშიაც, იქიდან სჩანს, რომ თვით შაჰაბაში არ არღვევს მიღებულს წესს და შეიღს თავის მამის თანამდებობას ფირმანით უმტკიცებს. ²⁾ ქიზიყის ასისტავს შერმაზანს ეძლევა თანამდებობა საშეიღვიღლოდ (шотомственно). მეფე ირაკლი მეორე ჩოლჩაშვილს უმტკიცებს საუკუნოდ (на вечныя времена) მამულს, ყმებს და თანამდებობას. ³⁾ როგორც საერო სამსახური იძლეოდა მემკვიდრეობით, აგრეთვე სასულიერო თანამდებობაც გადადიოდა საშეიღვიღლოდ. ოქონის მღვთისმშობელს ჰყავდა მემკვიდრეობითი დეკანოზი გარსენანაშვილის გვარისა (наследственный протоіерей). პაღე მღვდელი სოხოეს მეფეგოარგის, რომ „მამის სამწყსო“ მიეცეს. მეფემ შეიწყნარა ეს თხოვნა და ნეკრესკლმა «მოშლა და წინაღმდეგობა» მეფისა არ მოინდომა. ⁴⁾ ამგვარად ჩენი ფეოდალიზმი ამ მხრითაც გვაგონებს ცნობილს საშუალო საუკუნოებში წესწყობილებას. სამს ხანს უჩენენებენ ფეოდალიზმის

¹⁾ «ქართ. ცხ.» I გვ. 184, 211, 218, 248; 317—18; II, 71.

²⁾ ქართ. ცხოვრება II, 26, 71, III. ნახე აღქსანდრე გიორგის ძის შეწირულებანი I, 473—4.

³⁾ ჩენი ბატონყმობა გვ. 57.

¹⁾ «გუჯრები» გვ. 24, 26, 30—1.

²⁾ Кресть. гр. 68.

³⁾ двор. гр. 9, 12.

⁴⁾ Двор. гр. 14 «გუჯ.» გვ. 14.



ისტორიაში: 1, მიწათმფლობელთა გაძლიერება და თავისუფალ გლეხთა ყმად გადაქცევა; 2, ფეოდალური წესწყობილება სახელმწიფოსი, ესე იგი დიუჟა დამოუკიდებელ სამთავროდ და 3, ფეოდალიზმის დაცემა, სამეფო უფლების გაძლიერება, ქალაქების განათავისუფლება. 3) საქართველოს ისტორიაში პირველმა ორმა ხანამ დიდს ხანს გასტანა და ისე მოგსპო თავისუფლება, რომ ვაცალკეებულნი სამეფოების და სამთავროების შემოკრება, დასუსტებულმა სახელმწიფომ ვერ შესძლო. გაძლიერება მიწათმფლობელი არისტოკრატიისა — არაგვის, ქსნის ერისთავისა, მანაბლუბია და სხვათა, მოჰყვა არლიტიკურად გაყოფა სამს სამეფოდ და ხუთს სამთავროდ, 2) რომელნიც თავის მხრივ დანაწილდა თავდაზნაურთა შორის. ამ მდგომარეობაში მოგსპო საქართველოს საკუთარი მეფობა. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ საქართველოში არ მომხდარა ასრედ წოდებული «ქალაქთა მოძრაობა», არ წამოყენებულა მესამე წოდება — მოქალაქობა, რომელიც საფრანგეთში მეფის მფარველობით მოქმედებდა ბარონების წინააღმდეგ და ინგლისში ბარონების დანაწილებით მეფის წინააღმდეგ. შედეგი ამ ერთობისა ის იყო, რომ საფრანგეთში განმტკიცდა განუყოფელი სამეფო უფლება და ინგლისში დამყარდა პარლამენტარული წესწყობილება ჯერ საშუალო საუკუნოებშივე. ეჭვი არ გვაქვს, რომ დაახლოებითი შესწავლა საქართველოს ისტორიისა გამოიკვლიეს დანახებებს ისეთს მხარეს წარსული ცხოვრებისას, რომელიც უახლოვდება ევროპაში მომხდარ პროცესს.

თუ აიღებთ ძველს ჩვენს ისტორიას, იქ აღმოჩნებთ კვალს სახელმწიფო უფლებისას. გარდა ზემო

*) Eichhorn. deutsche verfabugsgeschite. perresu, La democratie eu france.

ა) გორგი მე-VIII დროს († 1469).

აღნიშნული საეკლესიო კრებებისა საქართველოში წინათ ყოფილა აგრეთვე საერო კრებებიც, რომელთაც ჩაუყარეს საძირკველი ევროპიულ კონსტიტუციას, წარმომადგენელი მმართველობას. მისიმ და შესანიშნავი გარემოება საქართველოს ცხოვრებაში იწყებდა წარჩინებულ პირთა ერთად მოსაფიქრებლად და საქმის გასარჩევად. ასევე გურ მეფეს არ ჰყენდა შეილი — ძე, გარდა ასულისა. «მაშინ შეკრებს შოგენისი ერისთავნი ქართლისნი მცხეთას ქალაქსა სპასტეცისა თანა, რომელსა ერქვა მაიჯან» — და ამ კრებაზედ გადასწყვიტეს მიზიან მეფის მოწვევა. 1) ბაგრატ მეფედ ქართლისა გამოითხოვეს «ყოველთა დიდებულთა, ერისთავთა და აზნაურთა». 2) ვთქვათ, ეტევა ეს უქველესი ისტორია ჩვენი ქვეყნისა, მიინტ ერთი დასკვნა შეგვიძლიან აქედან გამოვიყვანოთ: მემატთანეს წარმოდგენილი ჰქონია, რომ წარსულში საუკრადღებო საქმეები ირჩეოდა შოგენთა დიდებულთა თანადასწრებით. მემატთანე ვერ ხედავდა აწმყოში წარმომადგენელთა მმართველობას, ამიტომ მის არ შეეძლო თავის დროის შეხედულება გადეთან ძველ დროების ისტორიაში, მაშასადამე ზემო მოყვანილი მაგალითები იმას მოწმობდენ, რომ მემატთანემ ტრადიციით, გადმონაცემი ცნობით, იცოდა მიინტ წარსული წესწყობილება.

ჩვენ გვაქვს სხვა ისტორიული საბუთებიც, რომ დიდი საქმეები ირჩეოდა არა ერის დიუკითხვად. ამიტომ ჩვენ მოვიყვანთ ისტორიიდან ისეთს მაგალითებს, რომელნიც უფრო დაქვემდებარებულნი ექვს გარეშე არიან. თამარ მეფის გახელმწიფებაზედ «ქარ. ცხ.» მოგვითხრობს შემდეგს: გიორგიმ, მამამ თამარისამ «შეიყარა შოგენთა სამეფოთ თჳსისთ... შეილი თამარ ნათელი და ბრწყინეალებამ თვალთა, მეფე ჰყო თანადგომითა პატრარქთა და შოგენთა კუასკოპოსითათა, დიდებულთა, იმერთა და აქრთა, კაზინთა, სხასტრთა და სხასაღრთათა და დასეა მარჯვენით თვისსა მეფე და დედოფალი შემეკული და შემოსილი

1) «ქართ. ცხოვ.» 59.
2) იხ გვ. 208.

პირად-პირადად ფესვედითა ოქროვანითა ბისონთა და ზეზითა...¹⁾ და დადგა თავსა მისსა გვირგვინი ოქროსა მის ოფანისა, აღმკული იაკანითა და სამარავლოთა მიერ ²⁾ და მადარნი ერასანი ლიტანიობდეს წინაშე პირსა მისსა და თვით მეფემან მფიცებულმან ერთგულობისა და ერთსულობისა მისისთვის... აკურთხა კურთხევითა აბრაჰანითა. აქედან სანს, რომ მეფის ამორჩევის დროს საქრო იყო დასწრება უმაღლესი სამღვდლოებისა, დიდებულთა, ვეზირთა, სპასპეტთა, სპასლართა და მდიდარსა ერასთა. შეადარეთ ამას, თუ გნებავთ რუსეთში ცნობილი კრებანი *земские соборы*, სადაც ირჩეოდა საყურადღებო სახელმწიფო საქმეები, ანუ თვით მეფის დანიშნა: *въ 1584 г. происходилъ соборъ изъ митрополитовъ, архіепископовъ, епископовъ, игуменовъ, высшаго духовенства и всего дворянства* ³⁾ იოანე შრისხანე შეილის, თეოდორეს მეფედ დასამტკიცებლად. შემდეგ კრებანი უკედ უჩვენებდნენ ამევე ხასიათს და წრეს ამომჩიველთა. პროფ. კლოუტერსკი უარყოფს 1566 წ. კრების კავშირს ძველს *Вече*-სთან. ⁴⁾ პირველი იყო კრება ერ. წარმომადგენელთა პოლიტიკური ხასიათისა, მეორე (*Вече*) იყო კრება ქალაქში მცხოვრებელთა მიანიც და მიანიც *соборъ*-ს ჰქონდა დიდი მნიშვნელობა.

1598 წ. *земскій соборъ*-მა ამოიჩინა მეფედ ზორის გოდუნოვი. კრება მოხდა პატრიარხ იაკობის თავსმჯდომარეობით. კრებამ ამოიჩინა მერე მეფედ მიხეილ რომონაივი 1613 წ. აქამდის კრებას ჰქონდა ხასიათი რჩევითი, ვეზირობითი (*совѣщательный*), მიხეილის დროს დასუსტებული სახელმწიფოთვის წარმომადგენელთა აზრს მიეცა მნიშვნელობა დამფუძნებლობითი (*учредительный*). აქტები იმ დროიდან ჩვენამდე მოღწეულნი გვაუწყებენ შემდეგს: „*государь съ отцомъ своимъ патриархомъ, совѣмъ освященнымъ соборомъ съ боярами и думными людьми и совѣми людьми Московскаго государства учинивъ соборъ о тѣхъ статьяхъ гово*

¹⁾ შეად. *სიზმარი* პ. ცხელილოვლისა თიქვის ან გვარადვე სახვას თამარის მორთულობას. *«Исторія»* 1891 № 207.

²⁾ *«ქართლ. ცხოვ.»* I გვ. 274.

³⁾ *Латкинъ. земскіе соборы древней руси.* спб. 1885. გვ. 85—9.

⁴⁾ *Рус. мысль* 1890 г. январь.

рили... ¹⁾ შეადარეთ ეს ამონაწერი «ქართ. ცხ.» სიტყვებს შესახებ თამარის მეფედ აღვიარებისა: ერთი და იგივე წარმომადგენელთა დასწრებით სწყდება სახელმწიფო კითხვები. რასაკვირველია, არც რუსეთში და არც ჩვენში არ იყო მტკიცედ განწყობებული რიტები საერო და სასულიერო ანუ სამთავრო წარმომადგენელთა. ამიტომაც ძნელია დაუპირდაპირდეს რუსეთის *земскіе соборы* და ჩვენი კრება ევროპიელთა პარლამენტს, საცა რიტები წარმომადგენელთა, მგავალითად, ინგლისში და საფრანგეთში ²⁾ აღნიშნული იყო. ჩვენ ვუჩვენებთ მხოლოდ იმ ნიდადგს, რომელზედაც აღმოცენდებოდა საქართველოში კონსტიტუცია. ამით გინდა გვეთქვა, რომ ჩვენი მმართველობა არ წააგედა აღმოსავლეთის სამეფოებს და მოჩანდა კვალი წარმომადგენელთა მონაწილეობისა სახელმწიფოს განგებაში.

ჩვენ შევამტკიცებთ ყურადღება თამარ მეფის ამორჩევის ხასიათს და არა ასფაგურ და ბაგრატ მეფეთა შესახებ ცნობებს, რომ მიუთხველი უფრო დაქვემდებარებულთა შებნადეს «ქართ. ცხ.» სიტყვებს. თუ უძველესი ნაწილი საქართველოს ისტორიისა სავსეა და ჩვენი მატანი მე XI—XII საუკუნოებში შემდეგარი, ³⁾ მაშინ თამარ მეფეზედ ცნობა ხომ ისტორიულ ფაქტად უნდა ვაღვიაროთ და კრების ამბავი მივიღოთ ნამდვილ ცნობად. ამას არ ეწინააღმდეგება აღჩინდელი შეხედულებაც კრებაზედ და ისტორიული პერსპექტივაც შეგვიძლიან ივაც საქვემდებარებულთა, თუნდ კიდევ იყენენ ისეთი პირნი, რომელნიც შატბერდის კრებულის დაბეჭდვის შემდეგ ბუკს შეიტანენ «ქართ. ცხ.» სიტყვების სინამდვილესში.

მიუბრუნდეთ ახალი დროის ფაქტებს. რუსულად დედოფალი რომ გადაიკვალა (1247 წ.), საქართველო უმეფოდ დარჩა: ერთი დაეითი გიორგი ლამას შეილი დაიკვრა იკონის საკურობილემ და მეორე დაეითი, ძე რუსულდანის ნორინთ გაგზავნეს ყარაყუ-

¹⁾ ნახე კიდევ *Сергѣевичъ: земскіе соборы. загосуд. исторія права госуд. московск. платоновъ, замѣтки по исторіи земскихъ соборовъ* და სხვა.

²⁾ *guirrot. tust. des origines du govern. représent. frimantъ и стобсъ. опыты по исторіи англійской конституціи. бранствъ, исторія американ. республ. ч. II.*

³⁾ ესრედ წოდებული სომხური ქრონიკა თავდება დაეთ აღმაშენებლის სიკვდილით 1125 წ. ამის დროს უნდა იყოს იგი ნათარგმნი ქართულიდან სომხურად.

გვ. 366-374

რუმში, თათართა სატახტო ქალაქში. 1) თურქებმა ისარგებლეს ამ შემთხვევით და წამოვიდნენ საქართველოს ასაორბედად. 2) «ამ შოთათა შინა იყო ქვეყანა საქართველოსა შუგრდისკი შთავანის საქართველოსანი თავსა კონტისასა, იმერნი და აჰრანი, შანშე, ევარსლან, დაღანნი სოტენ, ვარამ გაველი, ფარფეარე, კუპრო შოთაჲ და უოკელი ჭყვარხნიჭარ-თქელნი თორქლი გამრქელი, სარგის თორგელი, მესხნი და ტაოელნი იტყოდეს, რამე ყოთ, რამეთუ არღარა არს ნათესაეი მფევთა, რათა წინამძღვარ გვექმნას და ებრძოდეთ თათართა». 3) საქართველოს გაქრებულთა მდგომარეობამ გამოიწვია ყოველთა მთავართა საქართველოსათა და წარმომადგენელთა სხე და სხვა საქართველოს ნაწილებისა კრება თთრებთან ბრძოლისთვის მოსამზადებლად. ამ კრებაზედმე გადაწვიტეს დაეთის, ლაშას შვილის მოძებნა და მეფედ დასმა. ერთს გარემოებაზედ უნდა მივაქცოთ კლდე ყურადღება. როცა ორივე დაეთი გემეფდნენ, მაშინ სიგელები ორთავეს ხელმოწერით მტკიცდებოდნენ. «მეტა მიზანხას რომელ სიგელისათესა სწერია მცენრი მაგრალონნი ნებითა დტოსისათა დაეთი და დაეთი. 4) შემდეგ კრების კათოლიკოსის აბრაჰმისა, და უოკელთა მთავართა მეფე დიმიტრი თადღებულის დროს. 5) (+ 1289), კრება უოკელთა დაეხუთა შეგვიტეს ვახტანგს, ძეს დაეთი იმერეთისას ერთგულეზაზედ. 6)

ამ საკითხის დასამთავრებლად აი კიდევ რამდენიმე მაგალითი. ზოგს ამათანას მხოლოდ «ქარ. ცხ». გვერდით ჩვენებით მოვიყვანთ და ზოგს კი ამოვიწერთ. ეს კითხვა იმდენად საყურადღებოა, რომ ჩვენ არ გინდა ამით გავთავათ მისი გადაწყვეტა. რაკი საეკლესიო კრებაზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, ამიტომ გავზედეთ სავრთოდ კრებაზედ ბასი. ესლა კი აი კიდევ მაგალითები მათ გარდა, რომელნიც საეკლესიო კრების მოთხრობაში აღენიწნეთ და დასამტკიცებლად უწევნებთ მატინანეს ფურცლებს. 7) ვახტანგ მე-V, ანუ შაჰნავაზმა აკურთხა ძე თვისი არჩილ მეფედ

იმერთა «შემაგრებულთა იმერთა ნებათა» მხალღობა. ნე იმოღენა ჰქონდა ამ კრებას, რომ შეიძლოა მეფის განდღენდა. «წარჩინებულნი და ერისთავნი შეიზახანენ და არა იწებეს მეფედ თვისად ბაგრატ, ვინადგან განდღენ სხანიცა და გამოირჩეს მუნვე მუჟთე ერისთავთაგანი ანუ გამოკვლეული ჩენი ესე მეფის აღექანდრეს ძის დიმიტრის ძე დაეთი». აქ ჩვენ შევეტაკეთ საკითხავს, როგორი წესი იყო საქართველოში სამეფო ტახტის მემკვიდრეობის შესახებ პასუხის მისაგებლად საქიროა ცალკე წერილი და ესლა კი ის კნარა ეიცოდეთ, თუ რა დიდი და შესანიშნი გაელენა ჰქონდა დიდებულთა კრებას. 2) ეს ასეც უნდა ყოფილიყო. უველგან, საცხ ფეოდალური წესწყობილება ყოფილა, მეფე არ ყოფილა აღტურვილი განუსაზღვრელი უფლებით, იგი იყო თანასწორი თავის ქვეშევრდომ ეასსაღებისა (მთავრებისა). იგი იყო მხოლოდ პირველი მათში primus inter pares, და არა უფროსი. ფეოდალურ წესწყობილების გაელენით მეფეს ძალა დაადგა შეეცინა წარმომადგენელთა წე (etatis generaux) და მეცა ის მტკიც ხელწერილი მათ უფლებათა შესახებ, როგორც იყო Magua chartia libertatum 1215 წ. იოანეს ინგლისელ ბარონებისთვის. ჩვენში ფეოდალი ძლიერები იყენენ და არ იყბულებდნენ თავიანთ განდღენას სამეფო საკითხების გადაწყვეტაში. ეს საკითხავი იმდენად სანტრეგისა, რომ მისი დაწერილებით შესწავლა ჩენს მოვალეობას შეადგენს. ჩემთვის კი აშკარაა, რომ ჩენი მეფის უფლება არ იყო განუსაზღვრელი, იგი იყო შეზღუდილი სამღველო და სავრო მთავართა ვაღენით და იტულებული იყო მოეწვია იგინი საბუოდ, რადგან მათ დაუკითხავად ძალონე ვერ წესძღებდა სამეფო საქმეების გაძლოლისთეია, საქართველოს ფეოდალისმის ისტორიაში მოხანს კელი იმ წესწყობილებისა, რომელიც სარწულად დაედო პარლამენტარულ მმართველობას. 3) ამას მოწმობს ვახტანგი. საქართველოში ბევრჯერ მომხდარა მეფეთა ისეთი დამადლება და შეზოკვა, რომ უსხელი მეფე რჩებოდათ, თორემ მათებული არა უწევინებოთი-რა, როგორც ყმათა სდომებათ ისრე უსამართლებიანთ და ურიგებიანთ». 4)

1) იქარ. ცხ. 1 გვ. 366—374.
 2) ვახუშტი ბექრაძის გამოცემა გვ. 235.
 3) იქარ. ცხ. 1, 375.
 4) იქარ. ცხ. 1, 382. ვახუშტი გვ. 238.
 5) იქარ. ცხ. 1 გვ. 421. შეად. ილ. ჭავჭავაძის მოგვა

დიმიტრი თავდადებული.

6) იქარ. ცხ. 1, 425.
 7) იქარ. ცხ. I, 431, 449, 460. II. 11, 21.

1) ყმათა ესე იგი საყრიოდ ერის ცაღენის შესასვლ ნახე «ვანდენის ანონებში» § 2.
 2) ნახე კიდევ იქარ. ცხ. I, 465. მეფის მოვალა I, 472.
 3) ვახტანგის ანონები § 2.



სამღვდლომის მდგომარეობა იმერეთში.

ქრისტიან ეკლესიის დაარსებიდან მოგონება და სასოგადოება მოწადინებულია, რომ ამ ეკლესიის მოსამსახურეთა ნივთიერ მდგომარეობა გააუმჯობესონ,

ძველ აღქმაში კარგელები ლეკიტელების სასარგებლოთ იხდიდნენ ხელე მათადს თავის ქონებადამ; უოკელ წლობით აძლევენ ლეკიტელებს უველაფერს სამრეკლად მოწვეულს (НАЧАТКИ), როგორც ხალეულობისაგან, ისე პირუტყუებიდან. ამას გარდა ლეკიტელები შესაწარმებიდანც იღებდნენ დარეკულებს ნაწილს და ჰქონდით მიტეპული სადგომები.

ახლ აღქმაში პირველი პაზრი ნივთიერად სამღვდლოების დასაწერებისა წარმოსტეკა თვით მატხობაგანმა; როდესაც სთქვა: დიდს ანს მუშევი სასივდლისა თვისისა (ლუკ. 10, 7). პაეღე მორაქულმა წაროდ გი გვიწენა ჩვენ, სადამც შეიძლება სამღვდლოების დენაშნის საწარდა: წამეთუ რომელი იგი ბაგისა მსახურებენ ბაგისასგან სჯამან, და რომელნი საეურთხველსა წინაშე სდგანედ, საეურთხველისაგან ნაწილს განიღონ. გერტე უფდომს ბრძანს რომელინი სასარგებლს მიუთხრობენ სასარგებლსაგან ცხოვრება (1, კორ. 9, 14-15). მართლად და ქრისტიან აქეთ სამი საეურთხვის განძალობაში სამღვდლოება ცხოვრება ნება-უფდობით სასოგადო კრებაში ქრისტიანებისაგან მიტანილი შესაწარმებით, როგორც ფულით, ისე სხვა ხორაკეულობით. მე IV საეურთხვის შემდეგ, როდესაც ქრისტიანობამ ფეხი მორადა რომის იმპერიაში, სამღვდლოების ნივთიერად დასაქმეოფილებლად განმარდენ ედღე სხვა ბუერს წურაობა. გარდა შესაწარმებისა, სამღვდლოება წესების აღსრულებისათვის ფულსაც ღებულობდა; სარგებლობდა საეკლესიო მკნობებით, სამეოთხედო ნდელათ, ანდერბებით დატოვებულ მამულ-ქონებით და სხვა საწმენდებით. რუსეთში, როცა ეი ქრისტიანობამ ფეხი მორადა, სამღვდლოების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ბუერა ზომები იყო მიღებული შეფეებისაგან. ეკატერინე II დროს (1765 წ.) ეკლესიების მანუთუნის რამოდენიმე ნაჭერს მიწა სამღვდლოების სასარგებლოდ. შეტრე I-დან (1724 წ.) ედღე აღქმანდენ პირველდები (1808 წ.) სამღვდლოებისათვის ჟამბორების დანიშნის უქმები ერთი მორკნე გამოდიდნენ. ნიკოლოზ I-ს დროს

(1844 წ.), უველა ის ფულები, რომელიც სხვადასხვა დროს სახელმწიფო ხაზინადამ დანიშნული იყო სამღვდლოების სასარგებლოდ, დანიშნა თანხად, რომელსაც ესხდენ: თანხა ქალიქისა და სოფლების სამღვდლოების სარჩინად. აი ასეთია სასოგადოდ სამღვდლოების მდგომარეობა ნივთიერად გაუმჯობესების მიხედვით.

პირველი მიზანი ამ ზომით, რომელიც ესხდენ მოვლისხედივით, ის იყო, რომ სამღვდლოება ნივთიერად უხრუნველ უფიდიყო, რომ სამღვდლოების განიობა და ზნეობითი ხალხზე გავლენე შესაწინევი უფიდიყო სასოგადოებაში. უნდა ესთქათ, რომ თუ სამღვდლოება პირა მრავლ დარბობა, უქრის ცხოვრება, გლახკეუთი მითხრობის, ხუთგან და ათგან დავერალ ტანისამოსშია გამოხვეულია და გატეგანი შესვლულითადაც არ იხადეს სასოგადოებას, ის კარგე მთაბეჭდილებას ვერ განრეებს საწმენოზე. მორეკულების დროს ხალხი დრო ეხლად და ეხლანდელი ჩვენი დრო კიდესულ სხვა არის. ჩვენი ხალხი დიდს უფრადებსა ჰქვინ მღვდლის გატეგან შესვლულას. თუ მღვდელი წმიდა და პატიოსნად არის ნდემული, მაშინ მისი შესვლულას რადც სასობას ტერის კაცს; და თუ დაქელებულ-ხარკე ტანისამოსშია, რომლის მტალითაც ცოტა არ არის იმერეთში, მაშინ ზისელიც ეი ებდება გულში შეხვედვებს. მართლად, ღვთის მოსამსახურე პირს რადც არ შევინს უსუთაობა. ამიტომაც ძველდენევი იყო უფრადდება მიტეპული სამღვდლოების ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. დასავლეთ ევროპის სამღვდლოებად რომ არ მოვიხსენიოთ აქ, რუსეთის და ქართლის სამღვდლოება საკმაოდ ვარკად მდიდარია. ჩვენი იმერეთის სამღვდლოება ეი, მითთან შედარებით, მრავლ დარბობა. რა არის იმერეთის სამღვდლოების ასეთი ნივთიერად დაქეუთების მიზეზი? პირველი მიზეზი არის სამრეკლოების სამდენე. უველასთვის ცხადია, რომ მრავლ გამოდინს სამრეკლოებში შემოსავლიც კარგი აქვით მღვდლებს და მდიდარობდ არის, ვინე მდენე კომლიანი სამრეკლოების მღვდლები. ამისთვის იმ ეპარქიებში, სადაც მრავალკომლიანი სამრეკლოების რიხევი უფრო მეტია, სამღვდლოებად ნივთიერად უვეთეს მდგომარეობაშია. მტრამ ჩვენი იმერეთის ეპარქიაში ამისთანა სამრეკლოები ძლიან მდინრება. იმერეთში თითოეული სამრეკლო შესდგება 60-120 კომლისაგან. ძალიან იშვიათად შესვლებით 200 კომლიანი სამრეკლოებს. უმეტესი ნაწილი სამრეკლოებისა 100

კომის არ აღმოცენდა. საქართველოში 150 კომლიან სამრეკლოზე ნაკლები სამრეკლო ძნელად იქნება. უმეტესად 200 კომლიანებია. რუსეთში უკანასკნელს სამრეკლოს ეკიბანი იმ სამრეკლოებს, სადაც მართა 250 კომლიან. რუსეთში სამრეკლოები ჩვენი დაბების ნაკლები არ არიან. ზოგჯერ თბილისი, რომელსაც სლობოდას ეძახიან, ჩვენი სანსკრესია და ზესტაფონსაც გაცდლებით დადანი. 1) თითო (სლობოდაში) — 2000 — 1000 სუღა სოღმე. მასადადე ამისთანა დიდ სამრეკლოებში მღვდლებს დიდი შემოსავალიც ექნებათ. ახა რა უნდა ქნას საწვლმა ჩვენი მღვდლები, რომელსაც 60 კომლის მეტი არა უყენს? რა შემოსავალი უნდა ჰქონდეს ამისთან სამრეკლოს მღვდელს და ან როგორ უნდა არსი. ნოს მინ ცრულად იქნები? გამოტყუილი უნდა ვისთქვას, რომ სწორედ საზრდო არის ჩვენი იმერეთის სამღვდლოება ამისთანა მღვდელ სამრეკლოებში, როგორც ციხე და იანიკარიშეთ, მაინც იმერეთის სამღვდლოების შემოსავალი მათი სამრეკლოებიდან შესაძლებელი ნაკლებია. დრამა რომ სულ ფულად ვიანგარიშოთ, წელიწადში შემოსუ მღვდლებს: 60 კომლის ბატონის 120 მანეთი; 80-ის 160 მანეთი; 100-ის 200 მანეთი. რუსეთის და ქართლში ორასი კომლიანი სამრეკლოს მღვდელს ოთხსა დახუთი ვერცხვა სოღმე; სამასიანებს — ექვსასი და კიდე მეტიანებს — მეტა. რადგანც რუსეთსა და ქართლში დრამა ჰინახსულით უფრო იღიან, ვინემ ფულათ, ამიტომ ჩვენც რომ ჰინახსულით ვიანგარიშოთ, იქაურნი მღვდლების სანუჭარი, მასინ კიდე მეტიც ვერცხვათ, რადგან ჰინახსულის მიღემა მღვდლებისათვის რუსეთში და ქართლშიც თითქმის უზომოდ იღიან — ნამეტურ რუსეთში; იქ ტომარებს თანამდის აუშისუქსოღმე მღვდლებს და თაყის ხელით მიჰქსით მღვდლებს. ქართლში უფრო მეტ დრამას აძლევენ მღვდლებს, ვინემ ჩვენში. იქ დრამა ოთხი კოღი ჰინახსული იღიან (იქაური კოღი 8 ჩინახა, ჩვენი — 4); ჩვენში ამის ნახევარს მიღემაც კი ეხარებათ, ახ რამდენით ებრლებათ რუსეთსა და ქართლში სამღვდლოება და რადგანთ უფრო მეტად იღიან იქ მღვდლების ბატონისტემა.

ეკლესიებშიც ქართლში და, ნამეტურ, რუსეთში უფრო მდიდრები არიან, ვინემ ჩვენს იმერეთში. როგორც ზეკითაბა ვითქვით, 1765 წელში, გეტრინიც

1) ზვირილიაში ორმოცი კომლია შრეული! რედაქ.

II დროს ზოგჯერ ეკლესიებს სთითთაღდა მთავრებენ 35 — 50 დესატინა მიწა. ეკატრინეს შემდეგ კონსტანტინთან თუ ეპიტროფთან ეკლესიებს მიწები, თორემ არ აკლდებოდათ. სხვა და სხვა მდიდარი პირებიც თვის მიმუღებადან გულუხვით სწირავენ ეკლესიებს სთითს მიწებს, ტუეებს და ფულს. ერთი სატუეით რუსეთში იშვიათი ეკლესია იქნება, რომ მის მღვდელს რამოდენიმე დესატინა საეკლესიო მიწა და მიწა სასლები არ ექნეს. თუ ჰქონეს ამ მიწებს მღვდელი თითონ დამამუშავებს და, თუ არა, სასარგებლოდ გარემს სოღმე. მიწა სასლებში არსნიანდ სტროგობენ და ადგილებიდანაც სარგებლობა გარეზად მოუღისთ. რუსეთში უკანასკნელი ეკლესია იქნება, რომლის მღვდელს ადგილებიდან 20 — 25 თუნიის სარგებლობა არ შემოუღიდათ უკველ წლობით. იმერეთში კი ეკლესიებს არა აქვთ არც მიწები და არც მიწა სასლები. ბეერი ისეთი ეკლესიებიც არიან ჩვენში, სადაც მღვდლის შესომოსელიც რიგინი არ არის. სტრელისა და სიმეუფრების მტკარათ მღვდლები წიგნის დროს ბაქარს იჭერენ სოღმე წელსა და მუჭებზე. თუ სადმე ორასში ეკლესია მოიბოკება ისეთი, რომ ცოტადენი ადგილი აქვს, თორემ, საზოგადოთ, ჩვენში ეკლესიებში მღვდელ დარბები არიან; მტკარამ ორას და სამი რა ანგარსში მოსასხენებელი უნდა იყოს იქ, სადაც ასზე და ორასზე დაბარები იქნება.

თაყისა ადგილ-მამულიც, რომ ვითქვით, სუამრ არა აქვს ჩვენს მღვდლებს. ბეერი ისეთებია, რომლებსაც ადგილი სრულიად არა აქვთ. მტკარამ ვისაც აქვს, იმას რა შემოუღის ამ მამულიდან? არაფერია! ნახევარი წლის სარწო მუჭად და ხან ესეც არა! მიწისაც კი დაუსუთია ნივთიარად იმერეთის სამღვდლოება. ან კი რა უნდა გააკეთოს ჩვენმა კატე მიწაზე, როდესაც ჰერეთისაც ნაკლებია მიწა და მეგრე — ბატონობამაც — ფესახიც იტეზულათ არის ჩვენში? მეფუტურება და ბაღოსნობაც რომ სულ იშვიათი მტკალითა ამ ჩვენს მხარეში. რუსეთში კი ასე არ გახლავით. იქ ეკლა მღვდელს უუკარს ბაღოსნობა და, განსაკუთრებით, მეფუტურება. რამდენჯერ ერთმა, თუ ორმა მჭობს ამხანაგთაგანმა მარწმუნეს სოღმე მე, როდესაც რუსეთში ესწავლობდი, რომ ჩვენებს უკველ წელიწადში მეფუტურებადამ 500

—600 მანეთი შემოდისთ ხოლმეო; 1) აგრეთვე ბადონობიანად. ბერა იქუთი მღვდლებსი მინაუნი გაერძობა შე თითონვე კარვად ვიცი, რადგანც თაი-სუფულ დროს სმინად დაკარბობადი ხოლმე სოფლებში ჩემ ამხანაგებთან, სად რუსეთის სამღვდელთა მად-რული ცხოვრება და სად ჩვენი. 2) —

თუ იმერეთში სამრევლოები და ეკლესიებიც ასე ღმრადებათ, რომელა წყაროდგან ირინინთ თაი ჩვენმა მღვდლებმა? საჩუქრებით და სხვა და სხვა წესების აღსრულებიდან შეკოსალითო, მეტყვიან მეთხოველები; მაგრამ იმერეთში არც წესების აღსრულებასათვის იციან დიდი სჩუქარი, — იმისთანა წესება, რომელია შესრულებისათვის კარინთი მღვდელს კრება რამე, ორზე მეტი შეაძლება კავდეს ან მოხდეს; სხვა წესების მგალითად, სთავის, წყობის გურთხევის, სახლის გურთხევის შესრულების არაფერი საჩუქარი ან იციან მღვდლისათვის ჩვენმა იმერ-ლებმა. მით გაუგონიათ, რომ ამითი შესრულებასათვის მღვდელს არაფერი ერებათ; მხოლოდ უკარის წერას და მიგვალბულის საქმეებს (მასწავლებზე, წესის აბრაზე და სარჩაგებზე) სამი მინეიადგან სუთ მინეთი-დის აძლევენ მღვდელს და სხვას არაფერს. ქართლსა და უმეტესად რუსეთში უფრო სმინად ემხანა შინ მღვ-დლებს სხვა-და-სხვა წესების შესასრულებლად, ვინემ ჩვენში და საჩუქრსაც გარცხ აძლევენ. იმერეთში ძეაქრ ცოტას გაუგონია; თუ რა არის პარაკლისი — ლეოთის მშობლისა, უგარისა, ანტელისისა და სხ., 3) ან და უწერ-მარინის გურთხევა, ღორცა სახლის საფუძვლას — თესილისა, ვანშია შესილისა და სხე. რომელსაც მეტად

1) ვინ უშლის მერე ჩვენ მღვდლებს ამას? დილიდომ საღამომდომ რომ დრომას ატარებდენ მრევლითან და მუშაობას არ კადრობდენ. რასავიკრევილა, არ გემიღიდებოთ რა მუშაობა, რომ ჩვენში ზოგიერთ ცილებს 60 და 100 ძირი უუტყარი ჰქვას და მღვდელს არც ერთი? ჩვენი აღუვრელობა და ზარმაცობა, რაივა შეუბნა ადვილდს, ჩვენი ადვილისთანა ნა-ყოფიერი მთელს რუსეთში არ მოიძებნება, მაგრამ უმეშვერა არაფერს არ იძლევა მიწა და მუშაობა ჩვენ გვეშვერა. ვინც შეუშობს, უველაფერი ბერი ბეჯს.

2) ვიცით, რომ მდიდრები პარან და ანაურებუც მკე-ნიერი აცვიათ, მაგრამ ტანსამოსის და კარგი ანაურებიო სამრევლოების გაცელება არსად და არასოდეს არ იბოუება და არ ფასდება... მარტო ძეიონის ანაურა ქრისტიანობას არ გააფრცხვანს...

შეიძლება არ იცოდენ, რადგან არასოდეს არ გავგონათ მღვდლისაგან, ტურისა და მარინის გურთხევაზე აქვით აქ უფრადლება მიიძლეო.

გადევენ ხოლმე რუსეთში და რომელიც მისწრულებასათვის მღვდელს უოველთის საჩუქრს აძლევენ ხოლმე. გარწმუნებთ, რომ იქ არაფერს საქმეს არ შეუდგებან და არც კათაბებენ ისე, რომ თავის მოძღვარს არ დაუბახონ, საქმე არ დაალოცონ და საჩუქარიც არ მისცონ მას. კრთისი ტყვეთ, უოველდროინათ რუსეთის საშუალო მრევლის მღვდელს წელიწადში ორმოცათხუთი მანეთი შემო-რება; ათას სუთსაზე მინც არ მოკლებს. ბერა იმისთანა სამრევლოებიც კი არიან, რომელთაგან მათ მღვ-დლებს სამი ათასი მანეთი და კიდე მეტრც შემოუდისთ ხოლმე წელიწადში. ჩვენი იმერეთის მღვდლებს ორასს ან სამასა, ძელან იშეათი ოთხსანი მანეთი თუ შე-მოუთ უველაფერისა წელიწადში. 1) —

აი ამიტომაც რუსეთში სამღვდელთა გამორჩეობა მდიდარია იმერეთის სამღვდელთაზე. იქ იშეათი მღვ-დელი იქნება, ჩვენ ბანკში რამოდენიმე თუთა არ ჰქონ-დეს შეტანაღა. ბერა იქუთიაც კი არიან, რომელთაც 15,000 მ. და 25,000 მანეთად აქვთ ბანკში. 2) ერთა სატყეით: „სამღვდელთა მდიდარობა“, რომ ამბობენ, ჩვენა იმერეთის სამღვდელთა გარემო იტ-ყვიან ხოლმე ამას. მხოლოდ რუსეთისა და ქართლის სამღვდელთაგან შეეგება ეს სატყეობა და არ ჩვენიას; ჩვენი იმერეთის სამღვდელთაგან ან ორთა სამღვდელთა-ბათა. შეა მესამე გამორჩევის შეადგენს. 3)

მღვ. აბესალომ ჩანანამე.

1) ბევრგან უფრო ღარიბნი არიან რუსეთში სოფლის მღვდლები. ზოგიერთებს ისე ქონდათ ამას წინად ტფილსუ-ლი საქმე, რომ გვერცხს დაპაროლობდენ ხოლმე და შედგენ საქმეობად ხმარობდენ. ჩვენს ეს არასოდეს არ უფულობა. რუსეთის მხარესად რომ ჩემი აქ-იქ უნაქო შეიკვანოს მღვდლები, შინ მტრათ იმთა საქმე მოუვიდეს. რუსეთში ერთად აქვით უნა და მთელი მრევლი იფრის ათეს ერთად. აქ უნა ერთი დღის სავალზედ აქვს გაცხ და იქ რომ წაიშვენიის მღვდელი, როდისდა დახმრდება შინ...

2) განა ჩვენში არ არის იმისთანა მღვდლები, რომ 15 ათასი მანეთი ჰქონდესთ? მამელოთ ჩვენში 20 და ოც-და-ათი ათასი მანეთითაც აქვს. რუსეთში სმინად მღვდელს ცოლა სეპარაციის მეტობლად დგება, ქრისტიანობის შემდეგ. ჩვენში გონ იკადრებს ამას. უბრალო სოფლის მღვდელს წაართვის 8000 მანეთი ქურდებმა ბერო წინაზედ და რამდენი აქვს ფულიად და მამელოდ ცილებს ვინ იცის... შინა, შინა და შინა, წაი დრო არ უნად დაეარკო ცეცხა ტყეველი და მდიდარი შეიკვები.

სამრევლოების სამღვდელთაგან იმერეთის სამღვდ-ლობას ვერც არაფერი არ ჩამოუარდება. სუფთად ცხოვ-რობს, შეიღვეს შრდის, სამშუისი მშესისა და სხვა რა მომე-თნობო? ღარიბები იმერეთშიც არის და საქარ თველოშიცა — ღარიბები სმინად თავისი ზარმაცობით...

† თ. ბაიგოლ დავითის - ძი გუჩიელი.

(ნეკროლოგი).

პიღეე მოაკლდა ჩენს სამშობლოს ერთი ერთგული და საყვარელი მამულის შვილი. 2 დეკემბერს დასაფლავეს თ. გრიგოლ დავითის ძე გუჩიელი, ბერი ერთგული შვილი მოჰკლებია ჩენს მამულს, მგერამ თ. გრიგოლისთანა დიდი გონებისა და პატოასნების კაცი ძვირად მოაბოცება დღეს ჩენს საქართველოში. იგი იყო მზრდელი ობოლთა, პატრონი და მფარველი ქერიეთა, ჩაგრულთა და დევნულთა. განსვენებული დიდი მოყვარული იყო ქველი საქმეებისა. ყველა ეს კეთილი თვისებანი განსვენებულისა გამსჭვალული იყო ქეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოებით. განსვენებულის ყოველი კეთილი საქმე სრულდებოდა, სახარების სიტყვისა მებრ, ფარულად და მას არ უყვარდა ზოგიერთებათ თაგის ქება და საჯაროდ გამოქვეყნება თაგისი კეთილი საქმეებისა. ამისათვის არც ჩენც ფრცხთ საჭიროდ დაწერილებით მოუთხრათ საზოგადოებას განსვენებულის ცხოვრება და კეთილი საქმენი. ყველანი უნდა ესცდილობდეთ, რომ ყოველი ჩენი კეთილი საქმე იყოს ფარულად აღსრულებული, რომ ღმერთმა, რომელიც ხედავს ყოველსა დაფარულსა ყველას მოგვაგო ჩენს საქმეთაბრ ჩენთა. ამას ითხოვს ქრისტეს ქეშმარიტი სწავლა და ასეც უნდა ვიქცოდეთ ყველანი. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ქეშმარიტო ქრისტიანო და საქართველოს ერთგულო მამულის შვილო გრიგოლი!

✓ ლ ო ც ვ ა.

ღმერთო ქებულო და დიდებულო, უოვლად ძლიერო ძეო დავთისაო, ისმინე კაცთა ცოადვილთა, მცდართა და უღირსისა ჩემ-მონისაო.



უკუნი სმენითა, თვაფნი ხედვითა მოგვაპყარ, კმა არს რისხვა ზეცისა... მოხედე ერსა, მწუკრავად მშიერსა, ისმინე ხმანი ტანჯულთ კვნესისა.

არა აქვთ შვება, დიდ გაჭირვება სუფლსა ესუთავს საწყაღს ჩენს ერსა. მტერთობა, მუკრი შეიქმნა სჯული, სიპართლე სძებნო, ვერ ჰოებ დღესა.

ძმა ძმას დალატობს, ცუდს დაპარაკობს, უთხრის საფლავსა მოყვასს, კითხავ, გაბათრევს, თავს გაიმართლებს, მოწმეთ ზეცა და თვით დამერთი მოჰყავს!

ღმერთო, შენ იცი, კაცი უკოცი მარადის სცოდავს წინამე შენსა, განამარტივე, შენ აპატივე დავთის მშობლის წილად ხდომილსა ერსა.

დახსენ უდელსა, ციკსელსა უნფლსა, მტერს საძაგელსა, სჯულის შემშლილსა, დონე მძლეობის, წინა მსვლელობის მიეც, ამორე ჭირს-განსაცდელსა.

მოაკონე მათ შენდა საქებლად სჯული მამათა და წესდებანი, ტანჯვა სულისთვის, და სიპართლისთვის, ჭირთა გაძლება, თავ-დადებანი.

რაქდენ საფაოსელი.

წმინდი რამაძისადმი.

მამია რედაქტორა!

უმარწმინდესად გთხოვთ, ნება გვაბოძოთ, რომ თქვენის გაზეთის საშუალებით გუფიადი შედგება გამოაქვეყნდეთ იმ შინა, რომელთაც ფოთის სუბპრეზიდენტი წინა-სამკითხველად სასარგებლოდ შემოსწავს და მასთან გთხოვთ დაგეგმულთ ეს შემწეობა საფ. ფოთის სტენის მოუკარე პირთაგან 36 მან., იანა შეუნარგამ 16 მან., ხრისტოფორ ხუმარაძემ 5 მან., მღვდელმა იაკობ ხუციანთაძემ 3 მ., ურამან ტრესლაძემ 3 მ., ანდრია ლოლაძემ 5 მ., ლეონტი ტულუშაძე 4 მ., ალექსანდრე ნებაძემ 3 მ., და მოსახლე წილიდან გაზეთი (აქრია). ბ. სპაჟი 1 მ., კ. გოლაგოშანასმა 1 მან., ა. კახიანიანი 1 მან., კოსტანტინე ბუბუქაძემ 1 მ., სამსონ გუგუნიანი 2 მ., ნიკო დავითაძე 1 მ., კარმეზ წერეთელი 1 მ., ან. ჟაღალაძე 1 მ., როსტომ ჩანაძე 1 მ., სტეფანე ვარდსელაძე (ОДЕС-КІЯ НОВОСТИ). მისალ ჟორჯიანი სამი რუსული წიგნი, პეტრე ხუმარაძემ 13 რუსული და 2 ქართული წიგნი, გორგიტ გებრიანიძემ 1 ქართული და 1 რუსული წიგნი, გიორგი დვინჯილიძე 4 რუსული წიგნი, ვლადიმერ ანბაძემ 2 რუსული წიგნი, ალექსანდრე ჟორჯიანიძემ 5 მ. დირბული ფურცლები, ნიკო რამაძისვილიძე 5 მ., დირბული სკამი და სტეფანე დამბარაძე 2 მ. დირბული სკამი.

ფოთის საჯარო წიგნი-სამკითხველს გამგება.

ახალი ამბები და შენიშვნები.

სასულაერო და საერო კალენდარი, შედგენილი და გამოცემული დეკ. დავით ლამბაშიძის-მიერ, უკვე გამოვიდა და ისეილება: ქ. ქუთაისში მძ. ქილაძეების

და წერეთლების წიგნის მალაზიებში; ქ. ბორჯომში — იზმიროვის მალაზიებში; ფოთში — ბ. ნოდის წიგნის მალაზიებში; დ. ყვირილასში — თით გამოცემულთან. სამოღვლელოებს ამ კალენდრის მოაზრება შეუძლია ადგილობრივ ბიბლიოთეკებთან: მმ. ხელაყეთან, ი. ხარტიანიანთან, ს. ბეგიეთან, ი. გამარჯვლოეთან. სამეგრელოში: გ. ბერიძესთან, დეკანოზთ: ს. ელიაშვილთან, ს. ანჯაფარძესთან, თ. ხოშტარიაშვილთან და ქ. ვაცრელაშვილთან; იმერეთის ეპარქიაში ყველა ადგილობრივ ბიბლიოთეკებთან. ფსი ყველგან თითო ცალი კალენდრია არის ერთი ანაზი. კალენდარს თან მიჰყვება ერთ ღივ ფურცელზე დახატული სურათები: ხელმწიფე იმპერატორის სახლობის, უფშ. სინოდის ობერ-პროკურორისა, შინაგან საქმეთა, სამხედრო, ფინანსის, გარეგან საქმეთა და გზათა მინისტრებისა, შლევა სამინისტროს მმართველისა, მიტროპოლიტი იოანე ნიკეისი, საქართველოს ექსარქოსის მთავარ-ეპისკოპოსის პალაატისა, იმერეთის ეპისკოპოსის ვაზრია-ელისა და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგორიანისა, წმ. ნინასი, საქართველოს მეფის დავით III აღმაშენებლისა, შუშანიკისა, დავით გარეჯელის, გელათის მონასტრის და ამავე მონასტრის ძვირფას ნივთთა.

* *

მის მალა კოვლად უსამღვლელოებსა, საქართველოს ექსარქოსის პალაატის 18 ამ დეკემბერს შეუსრულდება 25 წლის სამახორი;

* *

რუსეთის მოუსავლობით დამწველ ვუბერნიები-სა გან თან-და-თან მოქმედებებიან ხალხი ჩვენს საქართველოსკენ. მრავალი მათგანი ემზადებიან აქა-იქ ქალაქებში და დაბებში. განსაკუთრებით გვიჩინა ხალხი მოაწყდა დ. ყვირილას იმ იმედით, რომ ქიათურის გზაზე სამუშაო არღონ და კიდევ შოაბენ სამუშაოს. მაგრამ, აიღებენ თუ არა დღიურ ქირას, მაშინვე ლოთობას მიჰყოფენ ხელს და მათი მთელიალობა აკვირებს ადგილობრივ მცხოვრებთ.

რედაქციის პასუხი.

ჩვენ გვეყოთებინა ზოგიერთი მღვდლები, თუ როგორ უნდა ჩასწორონ მათ ცოცხალნი, ანუ გარდაცვალებულნი მოსახსენებელ კონდაკში და ან მოსახსენებელი ფული რამდენი უნდა შემოიტანოს მსურველმა? აი ჩვენი პასუხი:

ძველს დროში რომ ყოფილა ამისთანა მოსახსენებელი კონდაკები, ამას ცხადთ ამტკიცებს ხალხის ჩვეულება და სიტყვები: «ჩამწერეთ კონდაკში და ამღვდეს და ამღვდეს შეესწრაფე ეკლესიას». ზოგიერთი მღვდლებს მოსახსენებელ კონდაკად მიანჩით ის კონდაკი, რომელსაც წირვის დროს ხმარობენ, და მართლაც ამისთანა კონდაკებში სწერენ შემოწერილ მოსახსენებელ პირთ, თუ ამ კონდაკებში საღვე ცარიელი ადგილი მოიპოებოდა. აი რუსეთში და საბერძნეთში რა წესი სუვეეს ამისთანა მოახსენების შესახებ: მოსახსენებელი კონდაკი იწახება ეკლესიაში. ამ კონდაკებში იწებებიან, სურვილისა მებრ, როგორც ცოცხალნი, ისე გარდაცვალებულნი. ზოგნი თხოვილობენ, რომ მათი გარდაცვალების შემდეგ მოიხსენონ ისინი წელიწადში სულს მოხსენებს ის დღეებში ერთჯერ, ორჯერ ანუ სამჯერ. ერთ გზის მოხსენებისათვის ყოველ წლობით სწირავენ ეკლესიის სასარგებლოდ 50 მანეთიდან 100 მანეთამდე; ორ და სამ გზის მოხსენებისათვის ყოველ წლობით სწირავენ 100—200 მანეთამდე და ზოგნი მეუსაც ამნაირად კონდაკში ცალ-ცალკე იწერებიან, თუ ვინ რამდენჯერ უნდა მოიხსენონ ეკლესიაში. ფული, შემოწერილი მსურველთაგან ანუ გარდაცვალებულ პირთა პირისფულთაგან, ითვლება ეკლესიის სამუდამო, ხელ-უხლებელ თანხად. ეკლესიას და კრებულს შეუძლია ისარგებლოს ყოველ წლობით ამ ფულების სარგებლობით, ამ ფულების სარგებელი შეადგინოს სამუდამო წყარო, ვინცაბა არს, ეკლესია და გეჟმად, მაშინ ამ ეკლესიის კონდაკში ჩაწერილ პირთ, მოხსენება ექნებათ იმ ეკლესიაში, რომელი ეკლესიის სასარგებლოთაც შეირიცხება ეს ხელ-უხლებელი თანხა. ბევრგან ზოგიერთნი თავის სიცოცხლეშივე სწირავენ საუკუნო მოსახსენებელად ფულებს სიცოცხლეში ტანპრთელობისა, ხოლო სიკვდილის შემდეგ საუკუნო მოხსენებისათვის. ამ სახით ფულების სწირავენ როგორც ეკლესიას, ისე კრებულის

სასარგებლოდ, რასაკვირველია, იმ პირობით, რომ მართო სარგებელი მოიხმარონ და თანხა სკუნოდ დარჩეს. ამნაირი საშუალებით რუსეთის ზოგიერთ ეკლესიებს შეძენილი აქვს საუკუნო ხელ-უხლებელი თანხა 5000—20000 მანეთამდე. ამისთანა ეკლესიები და მათი კრებულნი ნიადგ უზრუნველყოფილნი არიან ნიეთიერად. ყველა ესეები შედგება სამღვდლოების მრავალ წლის განმავლობაში მუყიათობის, გამჭირახობის და მეცადინეობისა. ჩვენში კი ეს საქმე ეხლა იწყება და სრული იმედიც არის, რომ ჩვენი სამღვდლოება უკან არ ჩამორჩება სხვა სამღვდლოებს.

თითონ კერძო პირებსაც აქვსთ მოსახსენებელი კონდაკები, რომლებშიაც უწერიათ თავის ოჯახის ყველა ცოცხალნი და გარდაცვალებულნი პირნი, როდესაც მღვდელს სთხოვენ წირვას, ანუ სეფისკრისაგან ნაწილის ამოღებას, მაშინ თან მიაქვთ ხსენებულნი კონდაკები და აძლევენ მღვდელს, რომელნიც იხსენიებენ წირვაზე, ანუ კვეთის დროს ამ კონდაკებში ჩაწერილ პირთ და ამ შემთხვევაში აღებულნი სასყიდლოც საკუთრად მღვდლის სასარგებლოდ ირიცხება. მღვდლის სასარგებლოდ ირიცხება აგრეთვე ისიც, რასაც აძლევენ კონდაკებში ჩაწერილნი პირნი საორმოცო, ანუ რამოდენიმე წლის განმავლობაში დათქმული მოხსენებისათვის რაც ესთქეთი, ეგრანთ, საქმათა ჩვენი სამღვდლოების სახელმძღვანელოდ.

შ ა ნ ა ხ ა დ ა მ ა ნ ი .

შმალიესად დამტკიცებული რუსეთის საზოგადოება თანხის და შემოსავლის დაზღვევისა, დაარსებული 1835 წელს.

საზოგადოება ყუბდავს

- 1., თანხას შეიღებისათვის, ანუ სხვა მემკვიდრეებისათვის, ვინცაბა დამზღვევი გარდაიცვალა.
 - 2., თანხას, რომელიც შეუძლიან თვითონ დამზღვეველმა მიიღოს, როცა მოხუცდება.
 - 3., თანხას, რომელიც მიეცება დამზღვეველს აღნიშნულ წნის შემდეგ, როცა თვითონ დასჭირდება შეიღების დასაზინავებლად; ანუ ქალებისათვის საშობითად.
 - 4., პენსიას სიკვდილამდის, სამკვიდროს და სხვა...
- შმათერესი აგენტ და ინსპექტორი კავკასიაში გ. ბრუზნებერგი. შოსტის და ღვეშის აღრისი: გრუ-ვენბერგუ Тифлись.

საქართველოს
საზოგადოებრივი

მიიღება ხელის-მოწერა 1892 წლისათვის ორ
კვირულ გამოცემათა მართულს

„მწყემსზედ“

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზედ

მიზანი და დანიშნულება გახეთისა: 1) შეატყო-
ბინოს სამღვდლო და საერო წოდებას ყველა გან-
კარგულება და მოქმედება უმალღესთა სასულიერო და
საზოგადოებრივი მართებლობათა, კონსისტორიათა და
მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასუ-
ლიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა
და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვ-
რების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართვე-
ლოს სამღვდლო და საერო წოდებაში სწავლა და
მეცნიერება ქრისტიანობის კეთილ ზნეობისა და
სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს
სამღვდლო და საეკლესიო მოსამახურებ პირთა ზო-
გიერთი საეკლესიო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცი-
ლებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მკაცრდ მათი
მოვლენობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა,
ზემოხსენებულის პროგრამის აღსრულების გარდა,
არის—1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და
საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერე-
სო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააც-
ნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას სა-
ქართველო, ეს დაზოგადებული კითხვ რუსეთის იმე-
რიცხა და საქართველოს სასულიერო და საერო წო-
დება ქართული გამოცემის საშუალებით გაცნოს
რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

ფასი გასქეთისა:

12 თეთრ «მწყემსია» 5 მ. | 6 თეთრ «მწყემსია» 3 მ.
— ,, ორივე გამოცემა — ,, ორივე გამოცემა 4 მ.
— ,, რუსული ,, 3 მ. | — ,, რუსული ,, 2 მ.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვი-
ლების სახლებში და ყვარალაში რედაქტორის საკუთარ
სახლებში.

ზაზოგად ხელის-მოწერა შეიძლება როგორც
ყვარალაში, აგრეთვე ქუთაისშიაც.

ზარეშე მცხოვრებთა ვახეთის დაბარება შეუძლიათ
ამ აღრისთ: Вь Квирилы, вь редакцію газетъ
„МЦЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

მაილება ხელის-მოწერა 1892 წლისათვის ორ თვეურ
საგაზელო სურათებთან ყურნალ

„ჯეჯილზე“

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი, და თითო
წიგნი იქნება ოთხიდახუთამდე ნაბეჭდი თაბანი,
ანუ 64—80-დე გვერდი ღირის ფორმატისა.

«ჯეჯილში» დაბეჭდება: მოთხრობანი, ლექსე-
ნი, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავე-კატე-
ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე აზმები, სამეც-
ნიერო წერილები, საბავშვო სათამაშოანი და საერო-
ჯიშონი, სამათემატიკო ამოცანები, იგავები, ანდაზე-
ბი, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები
ნორტებით.

ქურნალში მონაწილეობის მღლება ალგითქვეს
ყველა ჩვენსა საუკეთესო მწერლებმა.

ქურნალი «ჯეჯილი» თბილისში დატარებით
ღირება—3 მანეთი, თბილის გარეშე ვაგზუნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი იქნება 60 კაპ.
ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და
ნახევარი წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

- 1) თბილისში — «წერა-კითხვის საზოგადოების» კან-
ცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 125) და
თეთრ «ჯეჯილის» რედაქციაში Красногорская ул. д.
Назарова № 7).
- 2) ქუთაისში — მკ. ნიკოლაძისას.
- 3) გორში — მკ. შურტელაძისას.
- 4) ბათუმში — მკ. ნიკოლაძის ვახეთის საგენტოში.
- 5) საჩხერეში — უარამან ჩხვიდისთან.

შოსტის აღრისი: Вь Тифлисъ, вь редакцію
грузинскаго днѣтскаго журнала «ДЖЕДЖИЛИ»
რედაქტორი-გამომცემელი ან. თუმანიშვილი — წერეთლისა.

შინაარსი: საქართველოს წესწოდებლბათა
ისტორიადამ. — სამღვდლოების მდგამარკობა იმერეთ-
ში. — † თ. გრიგოლ დავითის ძე გურგული. — ლოცვა
(ლექსი). — წერილი რედაქტორთან. — ახალი ამბები
და შენიშვნები. — რედაქციის მსუსი და განცხადებანი.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. დამბაშიძე. *Дов. иенвуротъ. Кутаисъ, 14 Декабря 1891 г.*
Типография редакци (И. Д. Гамбашидзе) Вь Кутаисѣ, помѣщ. вь домѣ бр. Ханановыхъ на Нѣмецкой ул.

საქართველოს
საზოგადოებრივი

მ წ ე მ ს ი

ს. ფ. ი. ც. ი. ა. ლ. შ. რ. ი. ნ. ა. წ. ი. ლ. ი.

იმერეთის ეპარქიის მღვდელ-მოხაზრის განკარგულებანი.

I.

ჩემდამი წარმოდგენილ ცნობათა და საქმეების განსამდგენლო საეკლესიო პირებზედ, სხვათა შორის, ცნობათა სიანს, რომ შრავალნი ხ მღვდლო და საეკლესიო პირნი და აგრეთვე სამრევლო სკოლების მასწავლებლები და სხვა სასულიერო წოდებისანი განწესებისა, ანუ ერთი ადგილიდან მეორე ადგილზედ გადაყენისათვის, თავიანთი დანაშაულობის და მრავალთა სხვა გვართა თხოვნათა გამო ჩამოვიდნენ ქუთაისში, ზოგჯერ თბილისშიდაც მიდიან, თან არა აქეთ არავითარი ბილეთი ბლაღოჩინისაგან და არც დაბარებული არიან ადგილობრივი სასულიერო მთავრობათაგან; აცდენენ, თავს აბეზრებენ სასულიერო უწყების კანცელარიებში მოსამსახურე პირებს თავიანთ საქმეებზედ სხვა-და-სხვა ცნობების თხოვნითა და აგრეთვე უადგილო და სრულიად უმიზნო ევრებით, რათა იგინი შეეწიონ მათდა სხარაგებლოდ საქმეების გადაწყვეტაში და ამით ექვეშეუვათ საზოგადოება ამ მოსამსახურეთა შესახებ. ცხადია, რომ სხვა და სხვა უქანონო მოქმედებათა ზედ გამოძიებული საქმეები ითხოვენ არა მარტო მათი შინაარსის უბრალო გაცნობას, არამედ შესწავლას, კანონების ჩხრეკას და საქმის ყოველი მხრით ახსნას და გამოარკვევას, აგრეთვე რომელიმე ადგილზედ განწესებისათვის, ანუ გადაყენისათვის საჭიროა ცნობები: თვით იმა ადგილზედ მთხოვნელთა წოდებაზედ, წლოვანებაზედ, განათლებაზედ და ყოფაქცევაზედ და გარდა ამისა ხშირათ კარგა ხანს ლონდონი საუკეთესო კანდიდატებისა. ამისათვის ამგვარ საქმეთა დაბოლოებითი გადაწყვეტა მოკლე დროში

არ ხერხდება. მიუხედავთ ამისა აღნიშნული პირნი რჩებიან ეპარქიალურ ქალაქში და ხშირად რამოდენიმე დღე უცლან თავიანთის საქმეების დაბოლოებას; მითრევა კი მრევლისა კრებულის რომელიმე მწვერთაგან, ანუ საეკლესიო სამრევლო სკოლისა მასწავლებლისაგან, უმეტესად დიდი ხნობით, ვარდა იმისა, რომ ძრავს კრებულის წევრთა, მასწავლებელთა და მრევლთა შორის დრტინებასა და საჩივრებას, დიდათ აწენებს ხალხის სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა და სახალხო განათლების საქმესაც. ასეც რომ არ იყოს, სამღვდლოებას დიდი უბრალო და სამძიმო ხარჯი მოსდის საეპარქიო ქალაქებში ჩამოსვლით, როდესაც ეს სრულებით არ არის საჭირო, რადგან ყოველივე თხოვნა უფრო ადვილად შეიძლება მიგრების სასულიერო მთავრობას ფოსტით; ამ შემთხვევაში არც ხარჯია სამძიმო და არც თავის სამსახურს აკლდება კაცი. იმავე ფოსტის საშუალებით პასუხიც ადვილათ გავგზავნება მთხოვნელებს რიგრიგობით, შეძლებსა და გვარად, არა უგვიანეს ორი კვირისა საქმის დაბოლოებითი გადაწყვეტის დღადგან, რაცა შეეცება მათ: ვისთვისაც საჭირო შეეჩინება ჩემი პირადი შთავონება და მღვდელ მთავრული დარიგება, ანუ გამოცდა საეკლესიო საგნებში, იგინი დაბარებულ იქმნებიან ჩემის განკარგულებით. ამასთანავე მრავალნი თხოულობენ შტატ გარეთს, უნაწილო, ანუ მეორე მდგაიონთა ადგილებს მკირე სამრევლოში და აგრეთვე საეკლესიო საზღვდლო ადგილების მთხოვნელებათ ჩნდებიან ისეთი სასულიერო წოდების პირნი, რომელთაც არსად სასწავლებელში არ უსწავლიათ და არავითარი ცნობა მათზედ ჩემს კანცელარიაში არ მოიპოვება, აგრეთვე შენიშნულია, რომელ იმ მრევლშიდაც, სადაც ორ-ორი

საქართველო
საქართველოს
საქართველოს

და სამსამი მედაიონეა, წირვა-ლოცვაში და მღვდელ-მოქმედებაში მღვდელს ენაჩრება მხოლოდ ერთი მედაიონე, რადგან მედაიონეებს ერთი მგორეს რიგ-რიგობით ენაცვლებიან და ამნაირათ ორ-ორ სამსამი მედაიონის განწესება უმინათ რჩება. ამგვარა ქვევა სასულიერო წოდების პირთა, გარდა ხაჯისა და სამსახურის ზინისა, ეწინააღმდეგება: 1) მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ექაზრ ხის 1837 წლის ცაოკულოარულ მოწერილობას და საქართველო იმერეთის სინოდალნი კანტარის უქახს ამ წლის 10 აპრილიდან, № 3085, რომლებითაც სამღვდელოებას აღკრძალული აქვს სასულიერო კანცელარიებში ხშირი მიმოსვლა მთავრობისაგან დაუბარებლად; 2) ბლაღოჩინთა ინსტრუქციის § 31, ბაშფორთთა წესდების 64, 66 და 67 მუხ., რომელთა ძალით, არც მღვდლებს და არც მედაიონეებს ერთი დღის ვადითაც არ აქვთ უფლება მაშორდნ თავიანთ სამსახურის ადგილს უშორეს 25 ვერსისა უბილეთოთ და ბლაღოჩინის ნება დაურთველად; ანუ სხვა ენარქიაში წაიღწენ ჩემგან ნება დაურთველად უბაშფორთოდ, 3) სასულიერო კონსისტარიის 71 მუხ. და უმაღლესად დამტკიცებულ 1869 წლის 16 აპრილს მართლ-მადიდებელი სამღვდელოების საქმეთა დროებით სამმართველოს (პრისუტსტციის) ქურნალის 7 მუხ., რომლებითაც აღკრძალულია შტატ-გარეთ განწესება კრებულისა მრევლისგან უხარჯოთ და უწ. სინოდისაგან ნებადაურთველად. 4) დასახლებულ ქურნალის 1 მუხ., რომლითაც განსაზღვრულია მცირე მრევლში კრებულის ნორმალური შტატი ერთს მღვდლისა და ერთს მედაიონისაგან. 5) იმავე ქურნალის 3 მუხ., რომლითაც დადგენილია მედაიონეების ადგილებზედ განწესება ნამდვილი მღვდლობის კანდიდატებისა. 6) საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტარის 1876 წ. უქახს, № 2868, რომელითაც ნება დაურთველია იკოლიონ ორ-ორი მედაიონე, მხოლოდ იმ სამრევლოებში, სადაც 150 კომლზე მეტი მრევლია. 7) უწმიდესის სინოდის 1886 წ. უქახს, № 1, რომლის ძალითაც საეკლესიო-

სიო-სამრევლო სკოლებს მასწავლებლებს ბელადს-ხმა მთავარ-ადიკანად და მღვდლად წინააღმდეგ მედაიონეთი განუწესებლათაც შეიძლება. ყველა ზემო მოყვანილ გარემოებათა გამო, ქურნალის «მწვეცხი»-ს საშუალებით, მიუწერ რწმუნებულს ჩემდამო იმერეთის ენარქიის ბლაღოჩინებს: ა) ხელწერილი ჩამოართვან სამღვდელო საეკლესიო მოსახსახურეთა, საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებლებთა და სასულიერო წოდების იმ პირთა, რომელთაც განზრახვა აქვთ იყვნენ ენარქიალურ უწყების სამსახურში, არ წაიღწენ არსად უბილეთოდ და ნება დაურთველად თავის ბლაღოჩინისაგან და ამ უქანსკენლთა არამც და არამც არ მისცენ ბილეთი წასასვლელათ ქ. ქუთაისში, ანუ თბილისში საკუთრივ იმ საქმეების გამო, რომლებაც სწარმოებენ ენარქიალურ კანცელარიაში, სინოდალურ კანტარაში, ანუ ექსარხოსის კანცელარიაში, გარდა იმ შემთხვევათა, როდესაც იმათ ოპიციკალურათ (მთავრობის ზედანებით) იბარებენ აღნიშნულ დაწესებულებათა შინაგან სხვა საქაროების დრას ბლაღოჩინმა მისცეს ბილეთი 15 კობ. ღერბის მარკათა, აღნიშნეთა ბილეთში: სად მიდის, რამდენის ხნით, რა საქმესა გამო და ვის სახელდაზ ენდობა დათბენილის თანაშეგობის აღსრულებად; ბ) აუხსნან ყველას, რომ არას გზით არ შამოიჯან არავითარი თხოვნები შტატ-გარეთ ადგილებზედ განწესების შესახებ; რომ მეორე მედაიონეობა ითხოვონ მხოლოდ იმ მხევლში, სადაც 150 კომლზედ მეტია, და ამგვარ შემთხვევაში თხოვნეთან წარმოადგინონ საეკლესიო კრებულსაგან დამოწმებული ცნობა, ანუ მოწმობა, 80 კობ. ღერბის მარკით, უქანსკენლთა წლის აღსარებითა სიოდან მრევლის კომლთა რაოდენობაზედ, რომ იმ პირთა, რომლებიც სასულიერო წოდებისათ უწოდებენ თავს და არ იმყოფებიან ენარქიალურ სამსახურში, განწესებაზედ თხოვნეთან წარმოადგინონ საბუთები ბლაღოჩინებისაგან: მათ შთაჰამიელობაზედ, ყოფაქცევანზედ, წლოვანებაზედ, ნათბოვ ადგილზედ მყოფ კრებულთან უნათესაობაზედ, გვრეთვე მახვდ, რომ



არ ყოფილან ისინი სამართალსა და ძიებასა ქვეშე და სხე, რომ სამრევლო სკოლების მასწავლებლებს ნება ეძლევათ კოხებისა და გალობისა ეკლესიებში, კვირაუქმე დღეებში ადგალობითი მიუღლონ თ.ნ.ხ. მოპით და ეს არ უნდა იხეინებოდეს კრებულთა უწყებაში და მათ არ უნდა ეძიონ სახელი უბრალო, შტატ-კარგი მელაიეთიებისა, რომ ერთსა და იმავე ადგილზედ ბევრ მთხოველებში უპირატესობა მიეცება სსსულიერო მასწავლებლებში და სხვა განათლება მიღებულს; მ) ვალდებულ ჰყონ მელაიეთიებში, რომდენიც უნდა იყენენ ერთს ეკლესიაზედ განწყობილი, უსათუოდ ყოველ წირვა-ლოცვაზედ და მიღდელ-მოქმედებაზედ ყველა დაეწიონ და არა რიგით, თითო-თითო და დ) სთხოვონ სოფლის მამასახლრებს ყველა ეკლესიაზედ დარაჯების (სტოროების) დანიენება, თანახმად საზოგ. დად. 113 და 178 მუხ. და შინაგან საქმეთა მინისტრის 1890 წ. ცირკულიარისა, № 34, რომელთა ვალდებულებას შიდაგნის ეკლესიების და მის ეზოს წმინდათ შინახება და საზოგადოდ მოსამსახურებობა კრებულთან წირვა-ლოცვის დროს, ამასთან ერთად სასურველია, რომ დარაჯებმა და მნათემ, რომლებიც უნდა იყენენ ყოველ დღეს-მსახურებაზედ, ისწავლონ მელაიეთიებთან ქართული საეკლესიო გალობა და მით განაშენონ წირვა-ლოცვა. ხოლო ჩემ კანცელარიას ეუბანებ ზღას ულოს ჩემი დაბოლოებითი განჩინება სხე-და-სხეა საქმეთა შესახებ ხრონოლოგიურათ, რიგრიგზედ (გარდა საეადო და საპატრიო საქმეებისა), შეძლებისა დაგვარად ორი კვირის განმავლობაშიდ დლიდგან საქმის დაბოლოებითი (გადაწყვეტისა) და ვინც ეს ჩემი მიწერილობა არ ზღას ულოს, მასზედ მომხსენოს მე.

II.

სამღვდელოება და ეკლესია მარადის უნდა უწვდიდეს ხელს თავის სამწესოთა ყოველ იმ შემთხვევაში, როდესაც მართლმადიდებელი ზირნი მსურველნი არიან ეკლესიის დასამღვდელოთა საშუალებით შექვედრონ დემოტისა ანუ სიმრთელისა და დემოტელობისათვის ცოცხალთა, ანუ საცხოვნებლად სულთა მათ მიცვალებულისა. რამდენაც ეს სურვილი და გრძნობა მეტად გაღვიძებულია და ცნოველი ხალხში, იმდენად უფრო უმჯეულია, რომ ქრისტიანეთა შორის სუფეს მტეიცე, ცნოველი სარწმუნოება დემოტზედ, ამისათვის თქვენ უნდა მარადის მეცადინე იყოთ, რომ ესეთი სარწმუნოებობივი გრძნობა ადვიდით, აძლიეროთ და გააღორძინოთ ხალხში.

ამისთანა საუკეთესო საშუალებათაგანი, სხვათა შორის, ამ საქმის წარმატებისათვის არის ცოცხალთა და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდაკები, რომელიც ბლადონინმა დეკანოზმა დაფით დამბაშიძემ, ჩვენის ნება-დართვით და ლოცვაკურთხევით, უკვე შეადგინა და გამოცდა, საჭირო დარვიებით და სწავლითურთ ამ საგანზედ.

მოგიწერ თქვენ, რომ მოიპოვოთ ეს წიგნი რწმუნებულ თქვენდამო ეკლესიებისა-

თვის, ეცადეთ ხალხშიც გაავრცელოთ და მისი საშუალებით შესაჩივოთ ხალხი იმ მშენიერს და წასაბამ ჩვეულებას ცოცხალთა და გარდაცვალებულთა შესახებ, რომელიც ასე გაავრცელებულია მთელს რუსეთში. სარგებლობა ამ გვარის ჩვეულების განმტკიცებისა მრავალ გვარია: ა) ღარიბი ეკკლესიები შეიძენენ ფულს, ეს ფული სამარადისო შენახულ იქნება, მარად მოსახსენებლად შემოქმედრველთ და მათ გარდაცვალებულთა, ხასინამი ან სასელმწიფო ბანკში, ხოლო სარგებელი კი მოხმარდება თვით ეკკლესიას და მათ კრებულთა; ბ) თან-და-თან მოიხსობა ხალხში მრავალ გვარი ამაო და ცრუ მორწმუნეებანი და მავნებელნი ჩვეულებანი, რომელნიც გაავრცელებულნი არიან ხალხში, გ) სმირი მიმართვა ეკკლესიის საშუალებით ღვთისადმი მოსახსენებლად ცოცხალთა საღვთგონებლად და გარდაცვალებულთა საცხოვრებლად, რამდენათმე მანც შესუსტებს იმ გულ-ციფობას და გულგრილობას სარწ-

მუნობასედა, რომელიც დღეს, სამწუხაროდ, გაავრცელებულია; დ) ხალხი გაიგებს რომ ის ფუჭი სარჯი, რომელსაც ის სწევს გამოტირილსედა და ესრეთ წოდებულ სელის განსნახედა და აღახედა, სრულიად მეტია და უსარგებლო ამ შემთხვევაში; ის შეიგნებს და მისვდება, რომ უფრო სასარგებლო იქნება როგორც ცოცხალთა, აგრეთვე მიცვალებულთათვის ეს ფული შეწირულ იქნეს ეკკლესიაში მათ სამარადისო მოსახსენებლად. ხოლო განსოვდეთ, რომ მოხსენება შემწირველთა სურვილისამებრ, ცოცხალთა თუ გარდაცვალებულთა, უნდა აღასრულოთ მტკიცეთ და უოველთვის დაწესებულ დღეებში. გარდაცვალებულთა მოხსენება უნდა აღსრულდებოდეს დაწესებულს დროს ხალხის განსოვნად. ამასთანავე ეცადეთ, რომ რაც კონდაქტი სწერია განუმარტოთ და გააცვიფროთ ხალხს, რომ მან თვითონ შეიგნოს ამ საღმრთო მოვალეობის სარგებლობა და საჭიროება. 14—20 ნოემბერს 1891 წელს.

რედაქციასაკან.

მორჩილად ვსთხოვთ ჩვენს ვახუთხედ ხელის მომწერლებს, რომელთაც ჯერეთ კიდე არ შემოუყვანიათ ამა წლის ხელის მოსაწერი ფულები, დაუტკბონ ამ ფულების გამოგზავნას რედაქციაში.